N 124 23/04/2019

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი 5**

*დ. ჩოხატაური* **12 აპრილი, 2019 წელი**

**სხდომის თავმჯდომარე-** ზაალ მამალაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ**:

**საკრებულოს წევრები:**

დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, ნატო ჩანტლაძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, ირაკლი ახობაძე.

**არ ესწრებოდა:** ქეთევან სიხარულიძე, გიორგი რამიშვილი, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

**მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**თეა უჯმაჯურიძე-** ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:**

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

**ღია კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

***მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე***

**I საკითხი**: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

**მოისმინეს:**

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

***მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე***

***<u>აზრი გამოთქვა:</u>***

გოჩა ჯიქიამ , რომელიც დაინტერესდა დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულისათვის 3 საშტატო ერთეულის (მერის წარმომადგენელი, 2 სპეციალისტი) დამატების შემდეგ, რა სტატუსით იფუნქციონირებს ა(ა)ი.პ. ,,კურორტი ბახმარო.“

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ რაღაც ფორმით უნდა ვიფიქროთ ა(ა)ი.პ. ,,კურორტ ბახმაროს“ ფუნქციურ დატვირთვაზე, რა ფორმით იქნება და როგორ მოსაფიქრებელია.

ასევე, დაბა ბახმაროს ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის გამო მერიის მიერ წარმოდგენილი იქნა სამართლებრივი აქტის პროექტი 3 საშტატო ერთეულის დამატების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის წინადადებაა, რომ ამ 3 შტატიდან როგორც ეს პროექტშია გაწერილი, ერთი გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციულო ერთეულში მერისწ წარმომადგენლისთვის, ხოლო დანარჩენი 2 საშტატო ერთეულიდან ერთი საშტატო ერთეული დაემატოს მერიის ზედამხედველობის, ხოლო მეორე არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს. შესაბამისი სტატუსით და სამუშაო აღწერილობით. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც გაიზრდება კონკრეტულ ვაკანსიაზე.

კოლეგებო, საკითხი დგება ადმინისტრაციულ წარმოებაზე. გთხოვთ, კომისიებსა და ფრაქციებს, დეტალურად გაიაროთ ეს საკითხი, იმსჯელოთ და თქვენი აზრი მოგვაწოდოთ თუ რომელ ვარიანტზე შევთანხმდებით, რომელიც წარმოდგენილია, თუ იმ ვარიანტზე, რომელიც ბატონმა ვლადიმერ სიხარულიძემ შემოგვთავაზა.
მეორე ვარიანტის დაშვების შესაძლებლობაზე მერიასთან გავიარეთ კონსულტაცია და პასუხი დადებითია.
ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ დაბა ბახმაროს ადმინისტრაციული ერთეულის შექმნიდან გამომდინარე ვთანხმდებით, მხარი დავუჭიროთ 3 საშტატო ერთეულის დამატებას. მაინტერესებს, როგორ წარემართება წარმომადგენელს მერთან ურთიერთობა, თუ ბახმაროში მუდმივი მაცხოვრებელი არ იქნება ან სად იქნება წარმომადგენლის იურიდიული განთავსების ადგილი. შეიძლება დაბა ბახმაროს  ყავდეს წარმომადგენელი, თუმცა ამის აუცილებლობას კანონო არ განსაზღვრავს.

წარმოდგენილ მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს იურიდიული განყოფილების უფროსი, ვკითხულობთ, რომ ,,დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტთან, რომლის თანახმადაც, 2018-2020 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები უნდა განისაზღვროს საშტატო ნუსხით და დადგინდეს არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისთვის 2017 წელს გაცემული საშუალო

თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით და მაინტერესებს, შესაბამისობაშია თუ არა ეს მუხლი კანონთან მიმართებაში.

ზაალ მამალაძე- გთხოვთ, წერილობით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში.

თეა უჯმაჯურიძე- ფორმულას არ ვარღვევთ დაბა ბახმაროში სამი შტატის დამატებით. დასკვნას რაც შეეხება, 2017 წელში მერს და მერის მოადგილეებს ხელფასი რაც იყო ის დარჩათ, უბრალოდ მეცამეტე ხელფასი გადანაწილდა თვეების მიხედვით და ეს იყო მხოლოდ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

**ღია კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე _ 23

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

**მიღებულია განკარგულება:** ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა